წელიწადი მეთორმეტე

ბოლშევიკურად ყველა ფრონტისათვის, ყველა მიმართულებით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და თბ. პროფსაბჭოების და საქ. სპორტის ორგანო

ტელეფონები ავტო: რედაქტორის—14—76, რედ. მოვალეების—22—17, საბუღალტრო 10—58, მთ. კონტორის—9—81.

კვირა, 14 აგვისტო 1932 წ. № 188 (3442)

მოსავლისათვის ბოლშევიკური ბრძოლის ნიმუში

სოფელ მოხისის (სტალინისის რაიონი) კოლმეურნეთა მიმართვა საქართველოს ყველა კოლმეურნეებისა და ღარიბ, საშუალო გლეხებისადმი

საიდან და როგორ დავიწყეთ

ჩვენ- სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხობა, თავდაპირველად აქტიურად გამოეხმაურა პარტიის გენერალურ ხაზს და რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მტკიცედ ჩაება საკოლმეურნეო მოძრაობაში.

პირველი კოლმეურნეობა ჩვენ სოფელში ჩამოყალიბდა 1930 წლის მარტში. ამ კოლმეურნეობაში მისი ჩამოყალიბებისთანავე გაერთიანდა 60 კომლი. ამჟამად ჩვენი კოლმეურნეობა „კომუნისაკენ“ აერთიანებს 105 კომლს.

ჩვენს სოფელში ჩამოყალიბებულია სამი კოლმეურნეობა და მათში გაერთიანებულია 180 კომლი.

პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების თანახმად, მიმდინარე წლის დასაწყისიდან ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედს წარმოადგენდა **ბრძოლა მეხამე ბოლშევიკური გაზაფხულისათვის.**

გასული წლის შემოდგომაზე ჩვენ დავთესეთ 125 ჰექტარი, გეგმა **შევასრულეთ 125 პროცენტით** (სოფლის მოსახლეობა უდრის 300 კომლს. შემოდგომაზე ინდივიდუალურმა მეურნეობებმა დათესეს 60 ჰექტარი).

საგაზაფხულო თესვის წარმატებას ხელი შეუწყო მთავრობისა და პარტიის 4 თებერვლის, 6 და 8 მაისის დადგენილებათა ფართო პოპულარიზაციამ.

1932 წლის გაზაფხულზე ჩვენ დავთესეთ 210 ჰექტარი, გეგმა შევასრულეთ 105 პროცენტით. ამავე გაზაფხულზე ინდივიდუალურმა მეურნეობებმა დათესეს 90 ჰექტარი.

პარტიისა და ხელისუფლების ზემოხსენებულ დადგენილებათა (4 თებერვლის, 6 და 8 მაისის დადგენილებები) ფართო პოპულიარიზაციამ დიდათ შეუწყო ხელი მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის გაძლიერებას.

ჩვენი დამკვრელი ბრიგადები

4 თებერვლის დადგენილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ, სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცების ღონისძიებებს, — **ჩვენს კოლმეურნეობაში ჩამოყალიბდა 6 მუდმივი ბრიგადა.** თვითეული ბრიგადა მიმაგრებულ იქნა ნაკვეთზე. ბრიგადებს მიემაგრა სას.-სამ. ინვენტარი და მუშა-საქონელი. ბრიგადების ხელმძღვანელებათ გამოეყვათ მეტი სანდოობის მქონე ყველაზე პოპულიარული ამხანაგები.

ბრიგადებს შედგენილი ქონდათ ცალკე სამუშაოთა კალენდარული გეგმები და მუშაობა სწარმოებდა განრიგების მიხედვით. ბრიგადებს სოცშეჯიბრებაში ყავდათ გამოწვეული ერთი-მეორე.

გაზაფხულის თესვაში პირველობა დაინარჩუნა და დაჯილდოებულ იქნა № 5 დამკვრელი ბრიგადა. ნათესების დამუშავებაში და მოსავლის აღებაში პირველობა მიიღო № 3 ამხ. **გიორგი ნოზაძის** ბრიგადამ, რომელმაც მუშაობის მაღალ ხარისხთან ერთად, ვადაზე ორი დღით ადრე **დაამთავრა ნათესების დამუშავება და ერთი დღით ადრე მოსავლის აღება-გალეწვა.** ამასთან ერთად მესამე ბრიგადის მიერ დამუშავებულ შაქრის ჭარხალსა და სიმინდს უჩანს გაცილებით უკეთესი პირი.

ჩამოყალიბებული გვაქვს აგრეთვე ქალთა ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. **ფერა ტურაშვილი.** ქალთა ბრიგადა ასრულებს შედარებით მსუბუქ სამუშაოებს, როგორიც არის შაქრის ჭარხლის ნათესების მოვლა - დამუშავება, დახმარება მოსავლის აღებაში, გალეწვაში და სხვა.

სოფ. მოხისი კოლმეურნეობის მე-3 ბრიგ ადის საწარმოო თათბირი იხილავს მოსავლის აღების გეგმას

დანაკარგებთან ბრძოლის ლოზუნგით

ნათესების დამუშავების დამთავრებისას, **გავითვალისწინეთ რა გასული წლის შეცდომები,** რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მოსავლის აღება გვიან დავიწყეთ და გავაჭიანურეთ, რასაც შედეგად მოყვა დანაკარგების დიდი პროცენტი, — ჩვენ **მიზნათ დავისახეთ მოსავალი დაკვრითი წესით აგველო და დანაკარგები მინიმუმამდე შეგვემცირებინა.**

შევიმუშავეთ მოსავლის აღება—**გალეწვის მტკიცე კალენდარული ვადები და სამუშაოები გაუყავით ცალკე ბრიგადებს. მოსამზადებელი მუშაობა მოსავლის აღებისათვის დავიწყეთ ივნისის მე-2 ნახევ. მოსავლის აღებას შევუდექით 23 ივლისს და დავამთავრეთ 30 ივლისს. მოსავლის გალეწვა კი დავიწყეთ 31 ივლისს და დავამთავრეთ 9 აგვისტოს.**

ჩვენს მუშაობაში ადგილი ქონდა აგრეთვე ზოგიერთ ნაკლოვანებებს. კოლმეურნეთა რიგებს შორის (მართალია ძალზე მცირე რაოდენობით) მაგრამ მაინც აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც პირადი სარგებლობის მიზნით მზად არიან შელახონ კოლექტივის მთლიანი ინტერესები.

მაგალითად ჩვენი სოფლის 1-ლი მაისის სახელობის კოლმეურნეობის ზოგიერთი წევრები მოექცენ კულაკების და მათი აგენტების გავლენის ქვეშ და ცდილობდნენ მოსავალი ხალოდანვე გაეტაცნათ შრომა დღეების რაოდენობის გამოუანგარიშებლად.

ასეთ შეუგნებელ წევრებს ახსნა-განმარტების საშუალებით ვაყენებთ სწორ გზაზე. წელს ჩვენ სასტიკად აღვკვეთეთ ტაციაობის და მოსავლის განაწილებაში უწესრიგობის ყოველგვარი ცდები.

როგორ ვეხმარებით „ხვალინდელ კოლმეურნეებს“

ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ დავანახოთ ჯერ კიდევ კოლმეურნეობის გარეშე მყოფ ღარიბ-საშუალო გლეხებს, „ხვალინდელ კოლმეურნეებს“ კოლექტიური შრომის უდიდესი უპირატესობა, მეტი ეფექტიანობა და მოვიზიდოთ კოლმეურნეობაში ახალი წევრები.

ჩვენ როგორც კოლმეურნეებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენს წარმოვადგენთ სოფლად, — არ შეგვეძლო დავკმაყოფილებულიყავით საკუთარი გეგმების შესრულებით. ჩვენს გეგმაში გათვალისწინებული გვქონდა გარკვეული საწარმოო დახმარების აღმოჩენა ჩვენი სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხობისათვის. ამ მიზნით ჩვენ გავწარმოებდით პარტიისა და მთავრობის უკანასკნელ დადგენილებათა — ღონისძიებათა პოპულიარიზაციას და საწარმოო დახმარებას ეუწევდით ღარიბ-საშუალო გლეხებს თესვაში, ნათესების დამუშავებაში და მოსავლის აღებაში.

ასეთი ურთიერთობის შედეგად ჩვენი სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხობა კიდევ უფრო დაუახლოვდა **კოლმეურნეობას, ხოლო რამოდენიმე კომლმა მოსავლის აღება-გალეწვის პერიოდში შემოიტანა განცხადება კოლმეურნეობაში წევრად მიღების შესახებ.**

მოსავლის განაწილებაში ჩვენს მიზანს შეადგენდა ის, რომ კოლმეურნემ, რომელმაც **გამოიმუშავა მეტი შრომა-დღე თესვაში, ნათესების მოვლა-დამუშავებაში, მოსავლის აღებაში — მისცემოდა მეტი ფული მეტი პური.**

ამ მიზნით მოსავლის გალეწვის დროს ჩვენ შევაჯამეთ შრომადღეები. ეს ჯამი **განვიხილეთ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე, შევაჯამეთ აღებულ მოსავლის რაოდენობა და შეუდექით ავანსების გაცემას მხოლოდ დახარჯული შრომა-დღეების რაოდენობის მიხედვით.**

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ლადო ელიაშვილი

ვადამდე შევასრულეთ პურის დამზადების წლიური გეგმა

ჩვენი მთავარი მიზანი იყო **ვალდებულებათა პირნათლად შესრულება პროლეტარულ სახელმწიფოს წინაშე.**

მოსავლის რაოდენობის გამორკვევისთანავე ჩვენი წევრების საერთო კრებამ განიხილა ხორბლეულის დამზადების საკითხი რაიონის მიერ მიცემული გეგმა (600 ფუთი) კოლმეურნეობამ ერთხმად მიიღო და დაადგინა: **დაკვრითი წესით იქნას შესრულებული პურის დამზადების წლიური გეგმა.**

ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითს მიბაძეს ჩვენი სოფლის საბჭოს დანარჩენმა კოლმეურნეობებმა, რომლებმაც ერთხმად მიიღეს პურის დამზადების საქმეში მოცემული გეგმები და გადასწყვიტეს დაკვრითი წესით შეესრულებინათ იგი.

არც ინდივიდუალური, ღარიბი და საშუალო გლეხები ჩამოგვრჩენ, მათ კოლმეურნეების მსგავსათ დაიჭირეს თავისი ვალდებულებების შესრულება პროლეტარულ სახელმწიფოს წინაშე.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელთან შედარებით უამინდობის გამო მოსავალი წელს შედარებით დაბალი იყო **ჩვენი სოფლის კოლმეურნეებმა, ღარიბმა და საშუალო გლეხებმა ვადაზე ადრე და მთლიანად შევასრულეთ პურის დამზადების წლიური გეგმები. 9 აგვისტოსათვის სახელმწიფოს ჩავაბარეთ 1.500 ფუთი ხორბლეული.** ამაზე არ შეჩერებულვართ და განვაგრძობთ თავისუფალ დამზადებას — გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

მოსავლის აღებისა და პურის დამზადების შემდეგ ჩვენ დაუყოვნებლივ შევუდექით მზადებას საგვიანო კულტურების (სიმინდი, შაქრის ჭარხალი) აღებისა და საშემოდგომო სას.-სამ. კამპანიისათვის.

ჩვენი შრომის გმირები

ჩვენ გვყვანან შრომის გმირები, რომელთა თავდადებულმა შრომამ შეგვაძლებინა თესვის, ნათესების მოვლა - დამუშავების და აღების ყველა ხანაზე ადრე დამთავრება. ესენი არიან: დამკვრელი ბრიგადირები: **გიორგი ნოზაძე და ვერა ტურაშვილი,** დამკვრელი კოლმეურნეები: **ილია ნოზაძე, არჩილ ამბოკაძე, იასონ ამბოკაძე, ლიზა გოქაძე, მიხა ელიაშვილი, საშა გოჩიაშვილი,** რომლებიც დანარჩენ კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხებს აძლევენ შრომის მაღალი ხარისხის და ნაყოფიერების მაგალითს.

ამ მიღწევათა მოპოვებისათვის ჩვენ მიერ განვლილი გზა არ იყო ია-ვარდით მოფენილი. ჩვენ გვეხდებოდა და გვიხდება დაუნდობელი და სისტემატიური ბრძოლის წარმოება კულაკებთან, მათ აგენტებთან, საკოლმეურნეო მოძრაობის ყველა ჯურის მტრებთან, რომლებიც ცდილობენ სახელი გაუტეხონ კოლმეურნეობას, გადაბიროთ ღარიბი, საშუალო გლეხობის ჩამორჩენილი ფენები და აიძულონ ისინი კოლმეურნეობის წინააღმდეგ.

საკოლმეურნეო მოძრაობის მტერთა ასეთ ცდებს ჩვენი დამკვრელი კოლმეურნეები უპასუხებენ საკოლმეურნეო ბრიგადების კიდევ უფრო შემჭიდროებით და კოლმეურნეობის ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცებისათვის ბრძოლის გაძლიერებით.

მიბაძეთ ჩვენს მაგალითს

ჩვენ მტკიცედ გვწამს საკოლმეურნეო მოძრაობის დიდი მომავალი და ვიცით, რომ მხოლოდ საკოლმეურნეო შრომის გზით მივაღწევთ საბოლოო გამარჯვებას. ამაში ჩვენ ღრმად დაგვარწმუნა ჩვენივე კოლმეურნეობის მაგალითებმა.

ამჟამად ჩვენს უმთავრეს **ამოცანას** წარმოადგენს ბრძოლა ჩვენი კოლმეურნეობების სამეურნეო - ორგანიზაციულ და პოლიტიკური განმტკიცებისათვის, სანარდო სისტემის ბოლომდე დანერგვისათვის, აღრიცხვის სწორად დაყენებისათვის, **საკოლმეურნეო კადრების აღზრდისათვის,** ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. ყველა ამის ნიადაგზე თითეულ კოლმეურნის მატერიალური კეთილდღეობის და კულტურული მდგომარეობის **შემდგომი** გაუმჯობესებისათვის.

ძირფასო ამხანაგებო? გაცნობებთ რა ჩვენი ბრძოლის და მუშაობის გამოცდილებას, მოგიწოდებთ მიბაძოთ ჩვენს მაგალითს, — **უმოკლეს ვადაში დაამთავროთ მოსავლის აღება. მინიმუმამდე შეამციროთ დანაკარგები, ჩვენი სოფლის კოლმეურნეთა და ღარიბ - საშუალო გლეხების მსგავსად პირნათლად შეასრულოთ თქვენი მოვალეობა პროლეტარულ სახელმწიფოს წინაშე პურის დამზადების მხრივ და დამკვრელი ტემპებით შეუდგეთ მზადებას საშემოდგომო სას.-სამ. კამპანიისათვის.**

ეს იქნება საუკეთესო პასუხი კულაკების, ყველა ჯურის კონტრრევოლიუციონერების, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტების და აგრეთვე მსოფლიო იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობენ სისხლში ჩახრჩონ **სოციალიზმის** მშენებელი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი.

სოფელ მოხისის კოლმეურნეთა დავალებით:

ი. ჩხენკელი, ა. ოსეფაშვილი, ვიქტორ წულაძე, ვერა ტურაშვილი, ნაზლი ფალავანდიშვილი, ალექსი ტურაშვილი, ნაზლი ფალავანდიშვილი, ალექსი ტურაშვილი.

სოფ. მოხისი დამკვრელ კოლმეურნეთა ერთი ჯგუფი: ილია ნოზაძე, ვასო სოიტაშვილი, არჩილ ამბოკაძე, ვასო ქაოლიშვილი, ვადია სოიტაშვილი, გიორგი ნოზაძე (მეა მე ბრიგადა—ბრიგადირი), გოგია ამბოკაძე (ინდივიდ. გლეხ.) და ვერიჩა ტურაშვილი (ქალთა ბრიგადა—ბრიგადირი)

ინდუსტრიალიზაციის ფრონტიდან

მარგანეცი

ჭიათურა, 13 აგვისტო (საკ. კორ.) 10 აგვისტოს ჭიათურის მაღაროებიდან გამოღებულია 2998 ტონა მარგანეცი, გეგმა შესრულებულია 82 პროც. ქარხანამ გარეცხა 1291 ტონა მარგანეცის ქვა, დღიური გეგმა შესრულებულია 73 პროც. შრომის ნაყოფიერება თვითეულ მუშაზე უდრიდა: მაღაროში—1,71 ტონას. ქარხანაში—2,35 ტონას, სამუშაოზე გამოვიდა 2447 მუშა ნაცვლად 2970 მუშისა.

ცემენტი

კასპი, 13 აგვისტო (საკ. კორ.) 12 აგვისტოს კასპის ცემენტის ქარხანაში გამოსწვეს—2854 კასრი ცემენტი, დღიური გეგმა შესრულდა 106,1 პროც., დაიფქვა—3439 კასრი ცემენტი, გეგმა შესრულდა 123,6 პროც. ადგილებზე გაგზავნილია—2638 კასრი ცემენტი, გეგმა შესრულებულია 102,9 პროცენტით.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სურამის ულელტეხილის ელექტროფიკაცია

ელექტრომავლის პირველი რეისი სამგზავრო მატარებლით

ნტალინისი, 13 აგვისტო. დღეს, 13 აგვისტოს, № 3 ელექტრომავალმა პირველად შეასრულა რეისი სამგზავრო მატარებლით, სადგურ მოლითზე № 58 მატარებელზე მობმული იქნა ელექტრომავალი. ელექტრომავალი სადგურ მოლითიდან და იძრა. დღის 3 საათზე და მიდიოდა საათში საშუალოდ 35 კილომეტრის გავლით. მიუხედავად იმისა, რომ ლიხის სადგურში ელექტრომატარებელი 25 წუთით დაიკავა № 203 მატარებელმა, ელექტრომატარებელი მაინც დაუგვიანებლად ჩავიდა სტალინისში. ლიხი-სტალინისის მანძილი ელექტრომატარებელმა 10 წუთში გაიარა, ნაცვლად 19 წუთისა, რომელიც ორთქლით გამწევი სამგზავრო მატარებლისათვის არის გათვალისწინებული.

№ 58 მატარებელი, წონით 419 ტონა, ჩავიდა სტალინისში 4 საათზე და 18 წუთზე ერთი ელექტრომავლით, მაშინ როდესაც სამგზავრო მატარებლები უღელტეხილზე ჩვეულებრივ სამი ორთქლმავლით დადიან (ადს).

ელექტრომავლების საზეიმო გაშვება ულელტეხილზე მოხდება 16 აგვისტოს

ელექტრომავლების საზეიმო გაშვება ა.-კ. რკინის გზების ელექტროფიცირებულ უბანზე -სტალინისი—ზესტაფონი მოხდება 16 აგვისტოს. სურამის ულელტეხილის ელექტროფიკაციის სამეურნეო პოლიტიკურ-მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ელექტრომავლების გაშვების წინ, მშენებლობის მოედანზე ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკური მთავრობების, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების, მუშებისა და საინჟენერო ტეხნიკური მუშაკების და ელექტროფიკაციის ბიუროს წარმომადგენლების მიპატიჟებული სტუმრების მონაწილეობით გაიმართება დიდი მიტინგი. ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ის კოლმეურნეობები, რომლებმაც გამოაჭყვეს მუშა-ხელი მშენებლობისათვის.

სადგ. სტალინისი ემზადება ელექტრომავლების გაშვებისათვის. მზად არის ლოზუნგები და პლაკატები, რომლებითაც მოხდება ელექტროფიკაციის მოედნი და სადგურები. ელექტროფიცირებულ უბანზე, გამოდის სპეციალური პლაკატები, რომლებიც ფართოდ ააცნობენ მოსახლეობას ელექტროფიცირებულ უბანზე უბედურ შემთხვევებისაგან გამაფრთხილებელ ზომებს.

ელექტრომავლების საზეიმო გაშვების ჩასატარებლად გზათა დირექციასთან გამოყოფილია სპეციალური კომისია ამხ. ლეჟავიჩის (სააგზო პარტკომი), მუქერიას (სააგზო კომიტეტი), კიკილაძის, ლეშინის (ელექტროფიკაციის ბიურო), ქვაქვლიას (რაიპროფსაბჭო) და ესაიანის (კონტროლის და შემოწმების განყ.) შემადგენლობით.

მატარებელი მთავრობის, პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებით და მიპატიჟებული სტუმრებით თბილისიდან სტალინისისაკენ გავა 16 აგვისტოს, დილის 9 საათზე.

სტალინისის სადგურზე მატარებელს მოხვდნიან ორთქლმავალს და მიაბამენ ელექტრომავალს. სადგ. მოლითი, ზესტაფონი და სხვ. ემზადებიან ელექტრომავლის საზეიმო შეხვედრად (ადს).

ქვანახშირის დიდი მარაგი ახალციხის რაიონში

ახალციხის რაიონში, უკანასკნელი 6—7 თვის განმავლობაში ჩატარებული გეოლოგიურ კვლევა-ძიებათა შედეგით, აღმოჩენილია ქვანახშირის საბადოები, სადაც ქვანახშირის გეოლოგიური მარაგი ჯერ-ჯერობით 180 მილიონ ტონას უდრის. შესაძლებელია გამოირკვეს, რომ ეს მარაგი კიდევ უფრო დიდია, ხოლო ის, რაც უდაოთ აღმოჩენილია, იძლევა იმის სრულ შესაძლებლობას, რომ მეორე ხუთწლედშივე ახალციხის რაიონი გამოცხადდეს ამიერ-კავკასიაში ქვანახშირის წარმოების მთავარ ცენტრად.

ახალციხის ნახშირის ნიმუში დაგზავნილია სხვადასხვა ლაბორატორიებში ცდების მოსახდენათ. ა.-კ. ქიმიის სამეცნ.-საგამოკვლევო ინსტიტუტში ჩატარებული ცდებისა და ანალიზების შედეგით ირკვევა, რომ ნაცრიანობის მხრივ, ახალციხის ქვანახშირი გაჯს ტიბულის ქვანახშირს და მისი სითბოს უნარიანობა უდრის 5.000 კალორიას.

ეს ცნობები ნათელყოფენ, რომ ახალციხის ქვანახშირი სავსებით შესაფერისი და ხელსაყრელი იქნება, როგორც სათბობი მასალა. მარაგი კი იძლევა იმის საშუალებას, რომ მეორე ხუთწლედის განმავლობაში, ახალციხის ქვანახშირის მიწოდებით, სავსებით დავფაროთ ა.-კ. სახალხო მეურნეობის ყველა დარგების მოთხოვნილება. ახალციხის ქვანახშირის საბადოებზე მუშაობის დაწყების შემდეგ ტიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირი აღარ იქნება გამოყენებული საწვავ მასალათ და მათ მაგიერ მთელი მოთხოვნილება დაიფარება ახალციხის ნახშირით. ტყიბულისა და ტყვარჩელის ნახშირი კი გამოყენებული იქნება მეტალურგიული მრეწველობის საჭიროებისათვის.

მეორე ხუთწლედის განმავლობაში, გათვალწყვეტილია დაწყებულ იქნეს ახალციხის ქვანახშირის ბუღობების დამუშავება იმ გარაუდით, რომ ქვანახშირზე, როგორც სათბობ მასალაზე, ა.-კ. არსებული მთელი მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს და 1937 წლის განმავლობაში ამოღებულ იქნეს 1.500.000 ტონა ქვანახშირი.

ახალციხის ქვანახშირის საბადოებამდე, მეორე ხუთწლედის განმავლობაში გადაწყვეტილია რკინის გზის გაყვანა 55 კილომეტრის მანძილზე.

ლონისძიებები

ინჟ. კოკაძის პროექტების განსახორციელებლად

მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის აქ. რწმ. სამმართველოში მიღებული ცნობებით, საკავშირო საგეგმო კომისიასთან გამოიყო სპეციალური ტეხნიკური კომისია რომელსაც დავალებული აქვს პრაქტ. კუელი ღონისძიებების შემუშავება **ინჟ. კოკაძის** მიერ წარდგენილი რიონ-მტკვრის ჰიდრო-ცენტრალის პროექტის შესახებ.

კომისიაში, სხვა გამორჩენილ სპეციალისტებთან ერთად შედის **აკადემიკოსი ალექსანდროვი,** რომელიც ამ დარგის ყველაზე დიდ სპეციალისტად ითვლება. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

ინჟ. კოკაძის პროექტის ეკონომიურ მხარესთან დაკავშირებული საკითხების შესაწავლად თბილისში უკვე ჩამოვიდნენ სპეციალისტი ამ კაპიტალის სამეცნიერო აკადემიის ენერგეტიული ინსტიტუტის ეკონომისტ-მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც უკვე აწარმოებს მუშაობას.

ეკონომისტ - მეცნიერთა აღნიშნულ ჯგუფს დავალებული აქვს გამოარკვიოს, თუ რა გავლენას მოახდენს ინჟ. კოკაძის პროექტის განხორციელება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებაზე.

აზბესტ-შიფერების ქარხანა კასპში

კასპის ცემენტის ქარხნის მახლობლათ, მომავალ წლიდან დაიწყება აზბესტ-შიფერების ქარხნის მშენებლობა. აღნიშნული ქარხანა დაამზადებს სწყალსადენე და სანაკნალიზაციო მილებს, რომლითაც შეცვლილი იქნება ლითონის მილები. იგივე ქარხანა დაამზადებს სახურავ შიფერებს (ფარფატებს), რომლითაც შეცვლილი იქნება თუნუქი, კრამიტი და ზოგჯერ ფიქალიც.

აღნიშნული ქარხნის ასაგებათ საჭირო წინასწარი სამუშაოები უკვე დაწყებულია. ხოლო მომავალი წლიდან დაიწყება საქარხნო შენობების აგება. ქარხანა ყოველწლიურად დაამზადებს 750 კილომეტრ მილებს და 3.600.000 კვადრატულ მეტრ სახურავ შიფერებს.

გამოშვებული პროდუქცია თვლერ უფრო იაფი იქნება ის მასალები, რომლებსაც დღემდე ხმარობენ აზბესტის მილებისა და სახურავი შიფერების მაგიერ. აზბესტის შიფერებით თვითეული კვ. მეტრი ფართობის დახურვა დაჯდება 1 მანეთი, მაშინ როდესაც თუნუქით თითო კვადრ. მეტრის დახურვა ჯდება 14-15 მანეთი.

ქარხნის ნედლეულათ გამოყენებული იქნება კასპის ცემენტი. წლიურად საჭირო იქნება 400.000 კასრი ცემენტი და აზბესტი, რომელსაც პირველ ხანებში შემოიტანენ უცალდან.

ქარხნის აგება დაჯდება 7 მილიონ მანეთამდე და იგი ამუშავდება 1934 წლის მეოთხე კვარტალში. ქარხანას ააგებს „სოიუზბაზისტი“.

ვაჭრობა სამინისტრო პორტფელებისათვის გერმანიაში

ფაშისტები მოითხოვენ ჰიტლერის დანიშვნას რეისკანცლერად

გერმანიის მთავრობის სხდომაზე

ბერლინი, 12 აგვისტო. შესდგა მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთი „დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგ"-ის გადმოცემით, ამ სხდომაზე არავითარი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული. მთავრობა, თითქოს, პრინციპიალურად თანახმაა იმის, რომ ნაციონალ-სოციალისტებმა მიიღონ მონაწილეობა მთავრობაში.

რეისსანცლერმა დაიწყო მოლაპარაკება ცალკე პარტიების ბელადებთან. მან მიიწვია ნაციონალისტების პარტიის თავმჯდომარე გუზენბერგი და ცენტრის პარტიის წარმომადგენელი. „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ის ცნობებით ეს მოლაპარაკება უმთავრესად ეხება ამ კომპარტიების დამოკიდებულებას, ისეთი მთავრობის შექმნის პერსპექტივასთან, რომლის სათავეში იქნება ჰიტლერი. ყურადღების ღირსია „დეი ფუბლატ"-ის ცნობა იმის შესახებ, რომ მთავრობის გუშინდელი სხდომაზე ფონ-პაპენმა გააკეთა მოხსენება, რომელშიაც აღნიშნა, რომ ჰინდენბურგი წინააღმდეგია ჰიტლერის დანიშვნის პრეზიდიალური მთავრობის მეთაურად. მთავრობამ დაადგინა გავლენის ქონა ბერლინის მხარი ჰინდენბურგის ზურგი (ადს).

რეისკანცლერის კანდიდატის კანდიდატურა ახალი მთავრობის შედგენის საკითხში

ბერლინი, 12 აგვისტო, სალამის გაზეთები აქეყნებენ ოფიციალურ ცნობას, რომლის თანახმად რეისპრეზიდენტი ამჟამად, ისე როგორც წინეთ იმ აზრისაა, რომ გერმანიის საერთო მთავრობა არ უნდა იყოს დამოკიდებული პარლამენტის პარტიებისაგან. მემორჯიენე პრესის აზრით, პრეზიდენტის ეს პოზიცია უპირისპირდება პრესის ღანდებულ ფრაქციების განსაკუთრებით ცენტრის პარტიის ლიდერის (ადებს—გადასპრან მთავრობის საკითხი პარლამენტარულის გზით. ცენტრის პარტიის ფრაქციის თანახმად ნაციონალ-სოციალისტებსა და გერმანიის ნაციონალისტებთან ერთად უნდა შესდგეს 13 აგვისტოს, მას შემდეგ რაც ჰიტლერსა და ჰინდენბურგს შორის გაიმართება განზრახული მოლაპარაკება. ნაციონალ-სოციალი სტები წინანდებურად აყენებენ ულტიმატუმური მოთხოვნას ჰიტლერის რეისკანცლერად დანიშვნის შესახებ (ადს).

გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტისა და „როტე ფაანე"-ს რედაქციის შენობათა გაჩხრეკა

ბერლინი, 12 აგვისტო. ვოლფის სააგენტო იტყობინება, რომ ბერლინში დიდძალ კომუნისტურ ფურცლების გავრცელებასთან დაკავშირებით, პოლიციამ გადა სწყვიტა დღეს გაჩხრიკოს გერმანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, „როტე ფაანე"-ს რედაქციის, რემვოლიუციის" ცენტრალური კომიტეტის და რევოლიუციონური პროფოპოზიციის სრულიად გერმანიის კომიტეტის შენობები. გაჩხრეკაში მონაწილეობას იღებენ პოლიციის გაძლიერებული რაზმები. ყველა ქუჩები გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტისა და „რემედახის" ცენტრალური კომიტეტის გარშემო დაკავებული აქვთ პოლიციელებს.

ფაშისტების სისხლის მგზავრები გამოკვლევები

ბერლინი, 12 აგვისტო. პოტემპაში (ზემო სილეზია) რამდენიმე მოიერიშე რაზმელი ღამით შეიჭრა დაუკეტავ ოთახში, რომელშიაც ძინავდა ორი მუშა კონრად პიჩუში, მის დედას და ძმას, ყვირილით, „აეეირე ზეკით წყეულო კომუნისტო! ხელები მაღლა!" რაზმელებმა გადმოათრიეს პიჩუში დედისაგან, მძიმედ სცემეს მას და რამდენიმე ტყვიით მოჰკლეს ის მშობლის თვალწინ (ადს).

მეორე ხუთწლედის პრობლემები

კონფერენცია აფხაზეთის მეორე ხუთწლიანი გეგმის დასამუშავებლად

სოხუმი, 13 აგვისტო. (საქ. კორ.). 11 აგვისტოს აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში გაიხსნა კონფერენცია ამიერ-კავკასიის მეორე ხუთწლიანი გეგმის და აფხაზეთის სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმის პრობლემების განსახილველად. კონფერენცია გახსნა აფხაზეთის ოლქკომის მდივანმა ამხ. ლადარიამ. კონფერენციას ესწრებიან ა-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის, ა-კ. პრომსაბჭოს, საქართველოს მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის, ა-კ. კომუნალური მეურნეობის სახ. კომისარიატის, ტყვარჩელმშენის, ვზიმშენის, შავი ზღვის რკინის გზის მშენებლობის, გაზ. „კომუნისტის" და „ზარია ვოსტოკას" წარმომადგენლები.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ა-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. **ოლუშინის** მოხსენება ამიერ-კავკასიის მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

კონფერენციის ამოცანას შეადგენს,—ითქვა მომხსენებელმა,— სწორად განსაზღვროს აფხაზეთის ადგილი ამიერ-კავკასიის გეგმაში და შრომის საკავშირო განაწილებაში. აფხაზეთი თავისი მძლავრი ქვანახშირის საბადოებით (ტყვარჩელი) და სამრეწველო ნედლეულის რესურსებით, თავისი მეტად მდიდარი ნიადაგისა და ჰავის პირობებით მეორე ხუთწლედში უნდა გადაიქცეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო რაიონად ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის მთელს სისტემაში, რათა მეორე ხუთწლედში მოისპოს აფხაზეთის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, რაც მელიც მეჩქვიდრეობით მიიღო მან მეფის კოლონიალური რეჟიმისაგან.

მეორე სხდომაზე კონფერენცია მოისმენს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენლის ამხ. **დვალის** და აფხაზეთის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. **გოსტევის** მოხსენებებს. აფხაზეთში საკოკასიი ქვანახშირის არსებობა,—ამბობს ამხ. გოსტევი,— განსაზღვრავს აფხაზეთის სახალხო მეურნეობის გზას საკოკსიი ქვანახშირის და ქიმიური მრეწველობის განვითარებისაკენ. ტყვარჩელს გარდა, სადაც გეოლოგიური მარაგი შეადგენს 110 მილიონ ტონას, ქვანახშირი მოიპოვება აგრეთვე ბზიბში 1,5 მილიონ ტონას რაოდენობით. მეორე ხუთწლედში განზრახულია არა მარტო ქვანახშირის მოპოვება და კოქსის წარმოება, არამედ აგრეთვე წარმოების ყველა ნარჩენების გამოყენება და ამ ბაზაზე მძლავრი ქიმიური მრეწველობის შექმნა ძირითად ქანს, რომელიც თან ახლავს ქვანახშირს, წარმოადგენს ქვანახშირის ფიქალი. ქვანახშირის ფიქალი დაახლოებით შეიცავს 50 პროცენტ ალუმინს, ამიტომ ისმება ფიქალის დამუშავების მაქსიმალურად გაფართოების საკითხი ქვანახშირის გარდა, აფხაზეთში არის ვერცხლის, ტყვიის და თუთიის საბადოები, ცნობილია, რომ ომამდე აქ ამუშავებდენ ვერცხლს, მარაგი ჯერჯერობით არ არის გამოკვლეული.

არის იმის ნიშნები, რომ აფხაზეთში მოიპოვება ნავთიც. გარდა ამისა, წყლის ენერგიის უდიდესი რესურსების არსებობა აყენებს მეორე ხუთწლედში მძიმე მრეწველობის მაქსიმალურად განვითარების საკითხს. ჰიდროსადგურებიდან განზრახულია აშენდეს კოდორის (72.000 კილოვატი), ბზიბის (50.000 კილოვატი), გუმისტას (12.000 კილოვატი) სადგურები. ამასთან 1933 წელს ამუშავება ტყვარჩელის თბოსადგური, რომელიც მოგვცემს 72.000 კილოვატ ენერგიას. მრეწველობაში კაპიტალური ჩადებანი განსაზღვრულია 267.000.000 მანეთის რაოდენობით.

აფხაზეთს თავისი ჰავისა და ნიადაგის პირობებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს შორის. ეს გარემოება აყენებს საკურორტო მშენებლობის ფართოდ განვითარების საკითხს.

მეორე ხუთწლედის გრანდიოზული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო იქნება მუშა ხელის დიდი რაოდენობა, რომლის მოცემა აფხაზეთს მთლიანად არ შეუძლია; დეფიციტი შეადგენს 11.000 „მუშა ხელს 1937 წელს,. დეფიციტი უნდ იქნას დაფარული დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ-კავკასიის ხარჯზე.

შ. ბუაჩიძე.

საარაიონთაშორისო კონფერენცია სტალინისში

სტალინისი, 11 აგვისტო. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ 10-11 აგვისტოს სტალინისში მოიწვია საარაიონთაშორისო კონფერენცია მეორე ხუთწლიანი გეგმის დამუშავების საკითხებზე.

კონფერენციას დაესწრნენ გორის, ბორჯომის, კასპის და სტალინისის რაიონების წარმომადგენლები.

საქართველოს სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმის პირველი ვარიანტის შესახებ მოხსენება გააკეთა სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენელმა ამხ. **გავაშელმა,** რომელმაც აღნიშნა, რო უახლოეს დროში უნდა დამთავრდეს მეორე ხუთწლიანი გეგმების შედგენა და დაყვანილ უნდა იქნას ის თვითეულ მუშამდე.

ამხ. **ხუნდაძემ** მოხსენება გააკეთა საკურორტო მშენებლობის შესახებ მეორე ხუთწლედში.

მომხსენებელი განსაკუთრებით შეჩერდა საკურორტო მშენებლობაზე ბორჯომის და სტალინისის რაიონებში და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვნად იზრდება ბორჯომის ხეობისა და სურამის აგარაკების გამტარუნარიანობა და, ამავე დროს, მთავარი ყურადღება ექცევა კურორტების კეთილმოწყობას.

შემდეგ მოსმენილ იქნა სტალინისის, ბორჯომის და გორის რაიონების მოხსენებანი ამ რაიონების მეორე ხუთწლიანი გეგმების შესახებ.

როგორც გამოირკვა, მეორე ხუთწლეულის საერთო გეგმა შეადგენილია მხოლოდ ბორჯომის რაიონში (ადს).

საბჭოთა კავშირში

ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის სესხის მოგებათა მეშვიდე ტირაჟი

გოგელი, 12 აგვისტო. გომელში ზემოთ გაიხსნა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის სესხის მოგებათა მეშვიდე ტირაჟი. ტირაჟის დაწყებამდე გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია გომელის მშრომელთა და წითელი არმიის ნაწილების მონაწილეობით. სატირაჟო კომისიის პირველ სხდომაზე გათამაშებულ იქნა 40.000 მოგება.

50 მანეთიანი მოგება ხვდა შემდეგ ობლიგაციებს: № 8 სერია 424; № 56 სერია 2504; № 93 სერია 4292; № 1 სერია 5551; № 65 სერია 7010. 500 მანეთიანი მოგება; № 63 სერია 4538; № 35 სერია 6466. (ადს).

მცურავი სანატორიუმი დნეპრზე

კიევი, 12 აგვისტო. გაიხსნა საბჭოთა კავშირში და ევროპაში პირველი მცურავი სანატორიუმი დნეპრზე. სანატორიუმი

დაყენებულია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით (ადს).

დავაჩქაროთ სარეწაო კოოპერაციის რეორგანიზაცია

გავაცნოთ მშრომელთა ფართო მასებს

საკ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება სარეწაო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ

„სარეწაო არტელის — ამხანაგობის საწარმოო ინიციატივის გასაშლელად საბჭო-თა კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ დასახულ ღონისძიებებს აქვთ უდიდესი მნიშვნელობა ქალაქისა და სოფლისათვის ფართო მომხმარებლის საქონლის შემდგომი ზრდის საქმეში.

(საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან).

სარეწაო კავშირის ნაცვლად სარეწაო საბჭო

საკ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1932 წლის 23 ივლისის დადგენილების საფუძველზე სარეწაო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ, საქართველოში „სარეწაო კავშირი"-ს მაგივრად განზრახულია ჩამოყალიბდეს სარეწაო საბჭო. არსებული სხვადასხვა გაერთიანებებიც უშლდება და მის მაგივრად ეწყობა კავშირები. საქართველოს სინამდვილეში ჩამოყალიბდება 8 კავშირი. ესენია: ტყავის წარმოების, ქიმიური, კვების, საფეიქრო, სამთო, ლითონის; ტრანსპორტის და სხვადასხვა სარეწაოების კავშირები.

აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთში დროებით რჩება მრავალ სარეწაოიანი კავშირები. შემდეგ კი მიღებული იქნება ზომები, რათა მათი სპეციალიზაცია მოხდეს.

აღსანიშნავია, რომ სარეწაო საბჭოს არ ექნება ოპერატიული ფუნქციები, ის ვადაიქცევა საგეგმო-სადირექტივო ორგანოდ, რომლის გამგებლობაში შევა 8 კავშირი.

ჯ. ვ.

დადგენილების დამუშავება სუსტად მიმდინარეობს

საკ. ცაკის და სახკომსაბჭოს ისტორიული დადგენილების დამუშავება სარეწაო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ, ნელი ტემპით მიმდინარეობს.

დღემდე დადგენილებები დამუშავდა მხოლოდ „სარეწაო კავშირი"-ს თვითეულ გაერთიანებაში. ისე, რომ ეს გადატანილი არ იქნა მშრომელთა ფართო მასებში.

რაც შეეხება დადგენილების დამუშავების საქმეს ძირეულ არტელებში, ეს საქმე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. დღემდე თიქმის არც ერთ არტელში არ დატარებულა კი, მიუხედავად მისი მეტად სასწრაფო და გადაუდებელი ხასიათისა.

ყირილობა სავსებით და მთლიანად დაიდგა ლენინ-სტალინის პოზიციაზე. ამხ. **სტალინმა** მოხსენების გამო მიღებულ **რუსეთის** პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული განვითარების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ბერძოლაში. მან მთელი ძალები ბრძოლაში შეიტანა და ამით ორგანიზაციული და მობილიზაციის საქმეში ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომელიც ისტორიაში არ ჰქონია არც ერთ პროლეტარიატის დიქტატურას. მაგრამ იგი, ეჭვს გარეშეა, ადგილებად დიქტატურის უზარმაზარ სამუშაოების მომზადების, ვინაიდან მეზობელი ქვეყნების პროლეტარიატის დიქტატურის ორგანიზაციის მოლალატეობასთან ბრძოლის საქმეში.

ამხ. სტალინი გადაჭრით გამოვიდა ყირილობაზე პარტიის ახალი ტაქტიკის მახინჯად გაგების წინააღმდეგ.

ბოლშევიკური პარტიისათვის საბჭოები ყველა რჩებოდნენ „ყველაზე მიზანშეწონილ ფორმად მუშათა კლასის ბრძოლის ორგანიზაციისათვის ძალაუფლების დასაპყრობად". სადაო ეს კი არ იყო, არამედ ის, თუ ვის წარმომადგენლებენ საბჭოები იმ ეტაპზე, როგორ პოლიტიკას ატარებდნენ ისინი. ჯერ კიდევ ივლისის ამბებამდე, როცა პარტია აყენებდა ლოზუნგს „მთელი ძალაუფლება საბჭოებს"—ეს არ ნიშნავდა კიდევ ძალაუფლების გადაცემას მუშათა კლასის ხელში. ეს ლოზუნგი მაშინ იქნებოდა პროლეტარიატის დიქტატურის ტოლფასი, როდესაც უმრავლესობა საბჭოებში ეყოლებოდათ არა წვრილ-ბურჟუაზიულ ესერ-მენშევიკების პარტიებს, არამედ ერთად-ერთ რევოლიციონურ პროლეტარულ-ბოლშევიკურ პარტიას. ამ მხრივ ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემის ლოზუნგმა „თავისი შინაგანი განვითარების თვალსაზრისით გაიარა ორი სტადია (პირველი პირველ შეიარაღების ივლისის დამარცხებამდე, ორმთავრობიანობის დროს და მეორე კორნილოვის აჯანყების დამარცხების შემდეგ "[7]).

„პირველ სტადიაში ესლოზუნგი ნიშნავდა მენშევიკების და ესერების ბლოკის კაპიტალის ძალაუფლებასთან, საბჭოთა მთავრობის შექმნას მენშევიკებიდან და ესერებიდან (ვინაიდან საბჭოები მაშინ ესერ-მენშევიკური იყო), თავისუფალი აგიტაციის უფლებას ოპოზიციისათვის (ე. ი, ბოლშევიკებისათვის) და პარტიების მშვიდობიან ბრძოლას საბჭოების შიგნით ამ ბანგარიშით, რომ ამგვარი ბრძოლის შედეგად ბოლშევიკები შეძლებენ საბჭოების დაპყრობას და საბჭოთა მთავრობის შემიდობიან განვითარების წესით. ეს გეგმა, რასაკვირველია, არ ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურას. მაგრამ იგი, ეჭვს გარეშეა, ადგილებად დიქტატურის უზარმაზარ სამუშაოების მომზადებას, ვინაიდან საჭირო პირობების დაყენებით ხელისუფლების სათავეში, მათი იძულებით გატეხვით საქმით გაეტარებიათ თავიანთი ანტირევოლიციონური პლატფორმა, და გეგმა აჩქარებდა ამ პარტიების ნამდვილი ბუნების გამოაშკარავებას, აჩქარებდა მათ იზოლაციას, მათ მოწყვეტას მასებისაგან. მაგრამ ბოლშევიკების დამარცხებამ ივლისში შესწყვიტა ეს განვითარება, უპირატესობა მისცა კადეტ-გენერლების კონტრ-რევოლიციას და ესერ-მენშევიკები მათ ბანაკში გადაისროლა. ამ გარემოებამ აიძულა პარტია დროებით დღის წესრიგიდან მოეხსნა ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს" ამ ანგარიშით, რომ კვლავ წამოეყენებინა იგი რევოლიციის ახალი აზვირთების პირობებში.

კორნილოვის აჯანყების დამარცხებით იწყება მეორე სტადია. ლოზუნგი: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს", კვლავ დადგა დღის წესრიგში. მაგრამ ახლა ეს ლოზუნგი უკვე იმას აღარ ნიშნავდა, რასაც პირველ სტადიაზე. მისი შინაარსი ძირითადად შეიცვალა, ახლა ეს ლოზუნგი ნიშნავდა კავშირის სრულ გაწყვეტას იმპერიალისტებთან და ძალაუფლების გადასვლას ბოლშევიკების ხელში, ვინაიდან საბჭოები თავის უმრავლესობაში უკვე ბოლშევიკური აყვნენ. ახლა ეს ლოზუნგი უკვე ნიშნავდა რევოლიციის პირდაპირ მისვლას დიქტატურასთან აჯანყების გზით. უფრო მეტი, ახლა ეს ლოზუნგი ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანიზაციის და სახელმწიფოებრიც ჩამოყალიბებას"[8]).

ამრიგად, ალაუფლების პროლეტარიატისა და ყაზარების გლეხობისათვის გადაცემის ლოზუნგი სრულიად არ ნიშნავდა ლოზუნგს „ძირს საბჭოები!". რომ ეს ასე არ იყო, ამას ამტკიცებდა ის ფაქტიც, რომ პარტია, რომელიც ხსნიდა ლოზუნგს: "მთელი ძალაუფლება საბჭოებს", არ გამოიცხადა ტაქტიკური აღმასრულებელი კომიტეტის და სხვადასხვა სარეწაოების კავშირები.

აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთში დროებით რჩება მრავალ სარეწაოიანი კავშირები. შემდეგ კი მიღებული იქნება ზომები, რათა მათი სპეციალიზაცია მოხდეს.

აღსანიშნავია, რომ სარეწაო საბჭოს არ ექნება ოპერატიული ფუნქციები, ის ვადაიქცევა საგეგმო-სადირექტივო ორგანოდ, რომლის გამგებლობაში შევა 8 კავშირი.

ჯ. ვ.

სატყეო გაერთიანება—დაძოუკიდებელი სისტემაა

სატყეო არტელების მუშაობის გაუმჯობესების და მათზე ხელმძღვანელობის უფრო გაძლიერების მიზნით, საქართველოში ეწყობა სატყეო კავშირი.

დღემდე სატყეო კავშირის ნაცვლად არსებობდა სატყე ოგაერთიანება, რომელიც უშუალოდ ექვემდებარებოდა „სარეწაო კავშირი"-ს სისტემას.

საკ. ცაკის და სახკომსაბჭოს 23 ივლისის დადგენილების საფუძველზე სარეწაო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ, „სარეწაო კავშირის" ჩამოერთვა სატყეო გაერთიანებაზე ხელმძღვანელობის უფლება, და ეს უკანასკნელი, როგორც დამოუკიდებელი სისტემა, სატყეო კავშირის სახით შედის საკავშირო სარეწაო კოოპერაციის სატყეო კავშირში.

ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სატყეო მრეწველობის განვითარების საქმეში. ამით სატყეო კავშირს შესაძლებლობა ეძლევა უფრო მეტი ინიციატივა გამოიჩინოს და მეტი ეფექტი იმუშაოს.

თ. ჯ—ლი.

სარეწაო კოოპერაციამ ხუთწლიანი გეგმა 3 ნახ. წელიწადში შეასრულა

საქართველოს სარეწაო კოოპერაციამ დ. ა. ქვრივი მუშაობით ხუთწლიანი გეგმა შეასრულა 3 ნახ. წელიწადში.

პირველი ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, სარეწაო კოოპერაციას უნდა გამოეშვა 220.917.000 მან. პროდუქცია, ფაქტიურად კი მიმდინარე წლის I-ლი ივლისისათვის გამოუშვა 241.000 ათასი მან. პროდუქცია. ხუთწლიანი გეგმა განსაკუთრებით წარმატებით შეასრულეს შემდეგმა დარგობრივმა გაერთიანებებმა: საფეიქრო გაერთიანებამ— 108 პროცენტით, გემო-კვების გაერთიანებამ—160 პროცენტით და ქიმიურმა—178 პროცენტით.

სარეწაო კოოპერაციის საწარმოო წარმატება საგრძნობლად აიხსნება მსხვილი კაპიტალური მშენებლობით 3 ნახ. წლის განმავლობაში. სარეწაო კოოპერაციის მრეწველობაში ამ ხნის მანძილზე დაბანდებულ იქნა 3.843.000 მან.—ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალური დაბანდების 174 პროცენტი (ადს).

38.143.800 ნაცვლად 36.379.300

სარეწაო კოოპერაცია ძირითადად ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელი ორგანიზაციაა. ეს მდგომარეობა ხაზგასმულია საკ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებაში, სარეწაო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ.

როგორ შეასრულა სარეწაო კოოპერაციამ პირველი და მეორე კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმა? უზრუნველჰყო თუ არა მან დასახული გეგმებით—ფართო მოხმარების საგნების გამოშვების შესრულება?

პირველ კვარტალში გათვალისწინებული იყო მთლიანად (ფეხსაცმელი, ლითონი, ქიმიური პროდუქცია, ხე-ტყე, შეშა, ტყავი, ბეწვი, ნაბდის ფეხსაცმელი, საფეიქრო, სამკერავლო, სატრიკოტაჟო, საგალანტერიო, გემო-კვების ზაზით, ქაღალდი, სამხატვრო და სხვ.) 16.887.800 მან. პროდუქციის გამოშვება. ფაქტიურად გამოშვებულია 17.328.600 მან. გეგმა შესრულებულია 102,6 პროც.

მთლიანად გეგმის გადაჭარბებით შესრულებისას, ზოგიერთ დარგში ადგილი აქვს სამარცხვინო ჩამორჩენას. მანჩანათშეწნობლობის დარგში პირველი კვარტალის გეგმის მიხედვით უნდა გამოშვებულიყო 50.000 მან. პროდუქცია. გამოშვებულია **9.000 მ.** გეგმა შესრულებულია **მხოლოდ 18 პროც.** გეგმის შესრულების მხრივ აგრეთვე ჩამორჩენ ლითონის, საფეიქრო და ტყავის დარგობებში. გეგმა გადაჭარბებით შესრულებული აქვს ქიმიურს (152,6 პროც.), სამკერავლო (108,4 პროც.), სატრიკოტაჟო (145,8 პროც.), **გემო-კვების** (142,4 პროც.), გაერთიანებებს.

